GEORGIAN PUBLIC BROADCASTER
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
GPB.GE

პრესრელიზი
Press Release

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს
ტელ. : 2 409 477; 2 409235
მობ: 577 10 99 88; 577 13 90 00
pr@gpb.ge , info@gpb.ge

GfK

დღეს, 13 სექტემბერს, 15:00 საათზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააქტო დარბაზში (III სართული) მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ჭანტურია და კვლევითი კომპანია GfK-ს წარმომადგენელი ნიკ მუნი გამართავენ ერთობლივ ბრიფინგს.

ბრიფინგის თემა: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, საქართველოში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ დაგეგმილი ეგზიტპოლი, რომელსაც საერთაშორისო კვლევების ევროპული ლიდერი GfK (www.gfk.com) საქართველოში უკვე მეორედ განახორციელებს. კონტრაქტის ღირებულება 230 000 აშშ დოლარს შეადგენს.
კონტრაქტი ითვალისწინებს არჩევნების დღეს ეგზიტპოლისა და სექტემბერში ორი სოციოლოგიური კვლევის ჩატარებას. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საარჩევნო ეგზიტპოლს უკვე მესამედ უკვეთავს (აქედან მეორედ GfK-ის). ამ მიმართულებით მაუწყებელი ხელმძღვანელობს საზოგადოების ინტერესით.

1. **<u>რატომ ეგზიტპოლი?</u>** - საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდია, რომელსაც იყენებენ წამყვან დასავლურ ქვეყნებში, რათა დააკმაყოფილონ მოსახლეობის ინტერესი არჩევნების შედეგების მიმართ, სანამ გამოცხადდება ოფიციალური შედეგები. ეგზიტპოლი ავსებს ინფორმაციულ ვაკუუმს უბნების დახურვიდან ოფიციალურ წინასწარ შედეგებამდე. საქართველოს შემთხვევაში, ეს პერიოდი 24-30 საათს შეადგენს.

2. <u>**რატომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“?**</u> - ეგზიტპოლების შედეგები ქვეყნდება მაუწყებლების მეშვეობით. ამიტომ მთელ მსოფლიოში, სწორედ მაუწყებლები არიან ამ კვლევის დამკვეთები. გამომდინარე იქიდან, რომ ეს არ არის კომერციულად მომგებიანი პროექტი, კერძო არხები ხშირ შემთხვევაში ერიდებიან ამ ძვირად ღირებული კვლევის ჩატარებას. გამომდინარე საზოგადოებრივი ინტერესიდან, სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლები იღებენ დამკვეთის როლს მსოფლიოს მასშტაბით (მაგ. BBC, ავსტრიის საზოგადოებრივი მაუწყებელი და სხვა).

3. <u>**რატომ GFK?**</u> - ეს ერთ-ერთი წამყვანი ბრენდია კვლევით ბაზარზე. აქვს დიდი გამოცდილება პოლიტიკური კვლევების, მათ შორის ეგზიტპოლების მსოფლიო მასშტაბით ჩატარების. ამავე დროს, ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ თუ კომერციულ მაუწყებლებთან. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და კომპანია GfK თანამშრომლობდნენ 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს და ამ თანამშრომლობის შედეგი მაღალპროფესიულად ჩატარებული ეგზიტპოლი და დროულად გამოცხადებული ქ. თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნების შედეგები იყო, რომელთა მაქსიმალური ცდომილება ოფიციალურ შედეგებთან 2%–ს შეადგენდა.

4. <u>**მეთოდოლოგია**</u> - გამოკითხვა ჩატარდება საქართველოს 220 საარჩევნო უბანზე. გამოიკითხება 25 000 რესპონდენტი, რაც იძლევა 3%-მდე მაქსიმალურ ცდომილებას.

5. ამომრჩევლის დასწრებასთან დაკავშირებული მონაცემები გადაიცემა არჩევნების დღეს 12:00, 17:00 და 20:00 საათზე. წინასწარი შედეგები მოსახლეობას 20:00 საათზე, ხოლო საბოლოო შედეგები მაყურებელს 21:00 საათზე ეცნობება.

კომპანია GFK

დაარსდა 1934 წელს გერმანიაში და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია გერმანული ეკონომიკური რეფორმების „მამად“ მიჩნეული ლუდვიგ ერჰარდტი. 1960 წლიდან კომპანიამ დაიწყო საერთაშორისო ბაზრების ათვისება და დღეს მისი ფილიალები და განყოფილებები მოქმედებს მსოფლიოს 6 რეგიონის 100-მდე ქვეყანაში.
GFK აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საზოგადოებრივ მაუწყებლებთან. კერძოდ, BBC ბრიტანეთში, ZDF და ARD გერმანიაში, ავსტრიის, უნგრეთის და შვეიცარიის საზოგადოებრივ მაუწყებლებთან.

GFK კლიენტები არიან: Agfa, Kodak, Sony, Panasonic, Toshiba, Pioneer, TDK, მანქანათმშენებლობის წამყვანი ფირმები.
GFK-ს მყარად უკავია მსოფლიოში მეხუთე ადგილი კვლევით ბაზარზე:

	კომპანია
1	The Nielsen Company, USA
2	IMS Health, USA
3	Kantar TNS
4	Ipsos Synovate
5	GFK Group
6	IRI, USA
7	Westat, USA
8	Arbitron, USA

GFK აქტიურად მუშაობს პოლიტიკური კვლევების კუთხითაც. მისი ცალკეული ოფისები მუშაობენ წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან ავსტრიაში, გერმანიაში, პოლონეთში. აღსანიშნავია კომპანია GFK UK Entertainment Ltd., London, UK თანამშრომლობა BBC-სთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს, როგორც წინასაარჩევნო კვლევებს, ისე ეგზიტპოლების ჩატარებას.
საქართველოში GfK-მ ჩაატარა 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ეგზიტპოლი ქ. თბილისში და მისი შედეგებია:

	პარტია	ეგზიტპოლის შედეგი (პროცენტი)	საბოლოო შედეგი (პროცენტი)
1	გიგი უგულავა	57,6	55,43
2	ირაკლი ალასანია	19,1	19,05
3	გიორგი ჭანტურია	8,4	10,7
4	ზვიად ძიძიგური	7,1	8,31
5	გოგი თოფაძე	4,2	5,19
6	სხვა	1,3	1,51
7	არც ერთი ყველას წინააღმდეგ	2,3	0